საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 8080/01
24/08/2020

8080-01-2-202008241033

შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯის“

მის: ქ. თბილისი, თვალჭრელიძის ქ. N6

თქვენი 2020 წლის 13 აგვისტოს N12824 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, სახიფათო ნარჩენების ინსინერაციის (სამედიცინო ნარჩენების ინსინერაცია და დამუშავება) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, გაცნობებთ, რომ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში:

- 4.1 ცხრილში არ არის მითითებული გოგირდის დიოქსიდი და მისი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის მნიშვნელობები. ამავე ცხრილიდან ამოსაღებია აირადი ფტორიდები, რადგანაც არ ხდება მათი ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა;
- 4.1 და 5.1.2 ცხრილებში ერთსა და იმავე ნივთიერებებს სხვადასხვა დასახელებები აქვთ მითითებული (მაგ.: მყარი ნაწილაკები და შეწონილი ნაწილაკები; მარილმჟავა და ქლორწყალბადი; ნაჯერი ნახშირწყალბადები და ააონ), რაც მოითხოვს შესაბამისობაში მოყვანას როგორც ამ ცხრილებში, ასევე დოკუმენტის მთელ ტექსტში;
- 5.1 ქვეთავში და მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის გაფრქვევის წყაროთა პარამეტრების ცხრილში ინსინერატორის მილის სიმაღლედ მითითებულია 14 მეტრი, ხოლო 6.2 ცხრილში - 13 მეტრი, რაც საჭიროებს შესწორებას;
- 6.2 ცხრილში და მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის გაფრქვევის წყაროთა პარამეტრების ცხრილებში გ-1 გაფრქვევის წყაროს მდებარეობის სხვადასხვა X და Y კოორდინატებია მითითებული;
- 10.1 და 10.2 ცხრილებში არასწორად არის მითითებული მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების მოქმედების წლები;
- მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშში არასწორად არის მითითებული გოგირდის დიოქსიდის მაქსიმალური და საშუალო დღე-ღამური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის მნიშვნელობები, რაც მოითხოვს გასწორებას და, შესაბამისად, ხელახალ გადაანგარიშებას;
- მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ცხრილში მითითებულია, რომ გათვალისწინებულია შეწონილი ნაწილაკების ფონური კონცენტრაციის მნიშვნელობა, თუმცა ფონური კონცენტრაციების გაზომვის პოსტების ცხრილში და შეწონილი ნაწილაკების ანგარიშში ზემოაღნიშნული არ არის ასახული.

ზემოაღნიშნული საკითხები გათვალისწინებული და დაზუსტებული უნდა იყოს ასევე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში.

გაცნობებთ რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით კორექტირებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ხატია წილოსანი

მინისტრის მოადგილე